ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87. 8723159001**
თარიღი:**08/06/2023**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი № 7

ქ. ახმეტა 7 ივნისი, 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი, თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი, რ.გახუაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, თ.ყეინიშვილი, ე.ბაღაკაშვილი,ზ.ფიცხელაური, გ.ონიაშვილი, დ.ავაზაშვილი, თ.მოზაიძე, ლ. მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, კ.მაზიაშვილი, გ.უძილაური, გ.შორთიშვილი, ლ.ჭიჭიკოშვილი,ე.მარკოზაშვილი,კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა: მოქალაქე - ეთერი ცოხალაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12 ^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტები.

დღის წესრიგი

1. **ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებით სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობის განსაზღვრისა და დებულების დამტკიცების შესახებ;**

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

/მომხსენებელი - რევაზ გახუაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.12.31.449) პირველ სართულზე მდებარე 9.26კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.12.31.449) პირველ და მე-2 სართულზე მდებარე, ჯამური ფართობით 63.86კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტებს.

სხდომას ესწრება 29 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 12 - თ.მოზაიძე, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებით სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობის განსაზღვრისა და დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - რევაზ გახუაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესწავლის, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით, შეიქმნას სათათბირო ორგანო - საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ზურაბ ფილაშვილი** - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) **თინათინ შათირიშვილი** - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი;

გ) **ბადრი ფილაშვილი** - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახურის უფროსი;

დ) **თეიმურაზ შაშიაშვილი** - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი;

ე) **მალხაზ მერაბიშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ვ) **კარლო ამირგულაშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ზ) **თომა დეკანოიძე** - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

თ) **ნატო სულთანიშვილი** - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვის და განვითარების სამსახურის უფროსი;

ი) **ნიკოლოზ ზურაბიშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №4 (დედოფლისწყარო) სამმართველოს უფროსი;

კ) **თინათინ არველაძე** - „საბუკო“ - ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციის დირექტორი;

ლ) გიორგი ჩიკორაშვილი - „საბუკო“ - ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციის თანამშრომელი;

მ) **ამირან კოდიაშვილი** - ა(ა)იპ „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ დირექტორი;

ნ) **სერგო მელწაიძე** - ა(ა)იპ „თუშეთის გომეწრის ხეობის საბჭოს“ - საბჭეოს თავმჯდომარე;

ო) **ეკა თელაურიძე** - ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ დირექტორი;

პ) **თამარ ჯამარიშვილი** - ა(ა)იპ „თუშეთის სათემო საბჭოს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ჟ) **ირაკლი კოჭლამაზაშვილი** - ა(ა)იპ „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარის მოადგილე;

რ) **ილია ჯაგოდანიძე** - ა(ა)იპ „საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის“ წარმომადგენელი.

2. დამტკიცდეს „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუსის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებით შექმნილი სათათბირო ორგანოს - საბჭოს დებულება“ თანდართული რედაციით.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 29 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო - 12 თ.მოზაიძე, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 17 ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუსის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებით სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობის განსაზღვრისა და დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა თეიმურაზ შაშიაშვილმა გააცნო საკითხები.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.12.31.449) პირველ სართულზე მდებარე 9.26კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.12.31.449) პირველ და მე-2 სართულზე მდებარე, ჯამური ფართობით 63.86კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტები:

პირველი საკითხი.

1.დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე, 9.26კვ.მ სამუშაო ფართის (ს/კ 50.12.31.449) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის:**

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-82.0 (ოთხმოცდაორი) ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

მეორე საკითხი.

1.დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის პირველ და მე-2 სართულზე მდებარე, ჯამური ფართობით 63.86კვ.მ სამუშაო ფართის (ს/კ 50.12.31.449) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის:**

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-565.0 (ხუთასსამოცდა ხუთი) ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხების მიღებას.

სხდომას ესწრება 29 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 12- თ.მოზაიძე, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 18 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.12.31.449) პირველ სართულზე მდებარე 9.26კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 19 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ოჟიოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.12.31.449) პირველ და მე-2 სართულზე მდებარე, ჯამური ფართობით 63.86კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:35 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი